საქართველო
თვითმმართველი ქალაქის - ფოთის საკრებულო
Self-Governing City of Poti Sakrebulo

№2-03/657 27 03 2013 წელი

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს
თავმჯდომარეს ბატონ ტატო ურჯუმელაშვილს

ბატონო ტატო,

წარმოგიდგენთ, თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკონკურსო კომისიის 2013 წლის 25 მარტის N2 ოქმს, საპროექტო მომსახურების კონკურსის საშუალებით შესყიდვასთან დაკავშირებით (საკონკურსო განცხადება №706) კონკურსში მონაწილე პრეტენდენტების შპს „აბრისი 2006"-სა და შპს „გეომეფი"-ს საკონკურსო წინადადების დისკვალიფიკაციის შესახებ.

პატივისცემით,

საკრებულოს თავმჯდომარე დავით ბაბილუა

საქართველო, 4400, ქალაქი ფოთი, აღმაშენებლის ქ. №12; ტელ/ფაქსი: 0(493)225700; 221386, ელ-ფოსტა: potisakrebulo@gmail.com
№12,Agmashenebeli str. 4400 Poti, Georgia, Te/fax: (+995) 493 225700; 221386, E-mail: potisakrebulo@gmail.com

თვითმმართველი ქალაქ ფოთის (თვითმმართველი ერთეული) საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი №2

(თვითმმართველ ქალაქ ფოთში, დანელიას ქუჩის რეაბილიტაციის (აღმაშენებლის ქუჩიდან პეტრე იბერის ქუჩამდე), დანელიას ქუჩაზე ტროტუარისა და ბორდიურის მოწყობის, ს/სახლების სახურავების მიმდინარე სარემონტო სამუშაოების და სატუმბო სადგურების რეაბილიტაციის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა)

თვითმმართველი ქალაქ ფოთი 25 მარტი 2013 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ვასილ თოდუა - თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის თავმჯდომარე;
2. ლევან სახოკია - თვითმმართველი ქალაქ ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე, კომისიის წევრი;
3. ნუგზარ ტუღუში - თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი;
4. თამთა დაგარგულია - თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის არქიტექტურის განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი;
5. გიაზი დანელია - თვითმმართველი ქალაქ ფოთის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის არქიტექტურის განყოფილების მთავარი სპეციალისტი, კომისიის წევრი;

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი საკონკურსო კომისიის წევრები ვადასტურებთ, რომ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში, საპროექტო მომსახურების კონკურსის საშუალებით შესყიდვასთან დაკავშირებით (საკონკურსო განცხადება №706), მონაწილე პრეტენდენტების შპს ,,აბრისი 2006"-სა და შპს ,,გეომეფი'-ის მიმართ. (იხ.დანართი**1**).

დღის წესრიგი:

1. საპროექტო მომსახურების კონკურსის საშუალებით შესყიდვასთან დაკავშირებით (საკონკურსო განცხადება №706) პრეტენდენტების შპს ,,აბრისი 2006"-სა და შპს ,,გეომეფი'-ის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების განხილვის შესახებ.

განიხილეს: ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საპროექტო მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით , საკონკურსო წინადადება წარმოადგინა ორმა პრეტენდენტმა შპს ,,აბრისი 2006"-მა და შპს ,,გეომეფი"-მ.

,,კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი. ამავე ბრძანების მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, ზემოხსენებული მონაცემების დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

პრეტენდენტების (საკონკურსო წინადადება) ექვემდებარება დისკვალიფიკაციას, ვინაიდან:
ა) შპს ,,აბრისი 2006"-ის მიერ წარმოდგენილი საფასურის გადახდის დოკუმენტში არარის მითითებული შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი.
ბ) შპს ,,გეომეფი"-ს მიერ წარმოდგენილი საფასურის გადახდის დოკუმენტში არარის მითითებული შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება , კერძოდ: ნაცვლად თვითმმართველი ქალაქ ფოთისა მითითებულია ქალაქ ფოთის მერია.

აზრი გამოთქვეს: ვ. თოდუამ, ნ. ტუღუშმა, გ. დანელიამ, თ. დაგარგულიამ.

,,კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების შესაბამისად,დაადგინეს:

1. განხორციელდეს საპროექტო მომსახურების კონკურსის საშუალებით შესყიდვასთან დაკავშირებით (საკონკურსო განცხადება №706) პრეტენდენტების შპს ,,აბრისი 2006"-სა და შპს ,,გეომეფი"-ის დისკვალიფიკაცია.

2. ეცნობოს პრეტენდენტებს სატენდერო კომისიის გადაწყვეტილება და კონკურს მიენიჭოს სტატუსი ,,დასრულდა უარყოფითი შედეგით".

კომისიის თავმჯდომარე	ვასილ თოდუა
კომისიის წევრები:	ნუგზარ ტუღუში
	თამთა დაგარგულია
	გიაზი დანელია
	ლევან სახოკია

დანართი 1

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

თვითმმართველი ქალაქ ფოთი

25 მარტი 2013 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი საკონკურსო კომისიის წევრები ვადასტურებთ, რომ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში, საპროექტო მომსახურების კონკურსის საშუალებით შესყიდვასთან დაკავშირებით (საკონკურსო განცხადება №706), მონაწილე პრეტენდენტების შპს ,,აბრისი 2006"-სა და შპს ,,გეომეფი'-ის მიმართ.

კომისიის თავმჯდომარე — ვასილ თოდუა

კომისიის წევრები:

ნუგზარ ტუღუში

თამთა დაგარგულია

გიაზი დანელია

ლევან სახოკია